შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში

ვიდეომონიტორინგის განხროციელების შესახებ დებულება

შინაარსი

ვიდეო მონიტორინგის განხორციელების მიზანი და მოცულობა 3
ტერმინთა განმარტება 3
ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანი 4
ვიდეომონიტორინგის მოცულობა და ხანგრძლივობა 4
ვიდეოჩანაწერზე წვდომაზე და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები 5
პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება 5

ვიდეო მონიტორინგის განხორციელების მიზანი და მოცულობა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 206169304, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის N 10) - შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი“,

- პატივს სცემს და აღიარებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს;
- კისრულობს პასუხისმგებლობას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას განუხრელად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა;
- აცნობიერებს რა, პერსონალური მონაცემების ფასეულობასა და მნიშვნელობას, კისრულობს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მათი საიდუმლოება;

ტერმინთა განმარტება

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (ს/ნ 206169304) ინდივიდუალურად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;
დასაქმებული ან მონაცემთა სუბიექტი - ფიზიკური პირი,რომელიც დასაქმებულია კომპანიაში და რომლის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კომპანია;
პერსონალური მონაცემი ან მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად დასაქმებულის (ფიზიკურ პირს) უკავშირდება. დასაქმებული იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია დასაქმებულის იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.
მონაცემთა დამუშავება - პერსონალურ მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;
დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი – ფიზიკური პირი (გარდა **შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (ს/ნ 206169304**), იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კომპანიისათვის ან კომპანიის სახელით;

ვიდეომონიტორინგი – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა)

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, **ვიდეომონიტორინგი** ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანი

- <u>უნივერსიტეტში ვიდმონიტორინგის განხორციელება ხდება კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისთვის, რის გარეშეც აღნიშნული მიზნების მიღწევა და სიკეთეების დაცვა ფაქტობრივად შეუძლებელია და ეს წარმოადგენს ერთადერთ ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებას.</u>
- <u>ვიდეომონიტორინგი, აგრეთვე, ემსახურება შიდა სამუშაო სივრცის ეფექტური ლოჯისტიკასა ან ტექნიკურ ოპერაციებს, რაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას აძლევს იმ ტიპის მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ყოველდღიური მუშაობის ოპტიმიზაციისთვის.</u>

ვიდეომონიტორინგის მოცულობა და ხანგრძლივობა

- უნივერსიტეტი ახორციელებს ვიდეომონიტორინგის, რომლის ფარგლებშიც ზოგიერთი კამერა მუშაობს 24 საათით, ხოლო ზოგიერთი მოძრაობის დეტექციის რეჟიმით.
- ვიდეო მონიტორინგით მოპოვებული მონაცემების შენახვის ვადაა 30 კალენდარული დღე. ვიდეოჩანაწერები ინახება ვიდეომონიტორინგის სისტემაში. ვადის გასვლის შემდეგ კი მონაცემები სისტემის მიერ ავტომატურად ნადგურდება. არ ნადგურდება მხოლოდ ისეთი ვიდეოჩანაწერი, რომელიც ერთვის დისციპლინური წარმოების ფარგლებში მოპოვებულ დოკუმენტაციას.
- ვიდეო მონიტორინგის არეალი მოიცავს დაწესებულების საერთო არეალს, დერეფნებს, შენობების შესასვლელებს, რამდენიმე აუდიტორიას, რომლებიც აღჭურვილია ძვირადღირებული ტექნიკით, საგამოცდო აუდიტორიებს, კიბის უჯრედებს, კაფეტერიას, უნივერსიტეტის გარე პერიმეტრს, რომელშიც შედის - უნივერსიტეტის

გარე სივრცე, ჭიშკრები, ღობეები, შემოსასვლელი, ავტოსადგომი, კორპუსებს შორის გადასასვლელებს, ბიბლიოთეკას.

- ვიდეო მონიტორინგი არ ხორციელდება გამოსაცვლელ ოთახებში, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეო მონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.

ვიდეოჩანაწერზე წვდომაზე და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები

- ვიდეო მონიტორინგის სისტემა დაცულია შიფრაციის ფუნქციით და აღჭურვილია შესაბამისი თვითგანადგურების მექანიზმით. კამერის მონიტორები განთავსებულია დაცვის ოთახში, რომელიც იკეტება გასაღებით. განსაზღვრულია გასაღებსა და ვიდეო მონიტორინგით მოპოვებულ მონაცემებზე წვდომის ავტორიზაციის მქონე პირთა წრე, რომელსაც წარმოადგენს დაცვის თანამშრომელი. ამას გარდა, საგამოცდო პერიოდში გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო აუდიტორიას ვიდეომონიტორინგის მეშვეობით აკვირდება საგამოცდო სამსახურის წარმომადგენელი.
- ვიდეოონიტორინგის სისტემაზე წვდომა დაცულია მომხმარებლის სახელითა და პაროლით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვას, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვას, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.
- ვიდეომონიტორინგზე უნივერსიტეტს ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ვიდეომონიტორინგის სისტემაზე პასუხისმგებელი პირები დაცვის სამსახურის თანამშრომლები. დაცვის თანამშრომლის უფროსს აქვს სისტემაზე სრული წვდომის უფლებამოსილება, რაც გულისხმობს იმას, რომ აქვს ადმინისტრატორის ფუნქცია. დანარჩენებს კი, მათ შორის საგამოცდო სამსახურის წარმომადგენელს შეუძლია მხოლოდ მიმდინარე რეჟიმში ვიდეომონიტორინგი.

პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება

- უნივერსიტეტი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების საკითხს და პერიოდულად ატარებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკური ზომებს (მაგალითად, მონაცემთა დამუშავება ხორციელდება უსაფრთხო და სანდო ელექტრონული პროგრამების/სისტემების საშულებით, მონაცემები ინახება სათანადოდ დაცულ სერვერზე, არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა შენახვა ხორციელდება შესაბამისი უსაფრთხოების

ზომების გატარების გზით და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას ინციდენტებისაგან და მონაცემების არამართლზომიერი ან შემთხვევით დაზიანების, დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისაგან,წვდომის, შეგროვების/მოპოვების ან ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან.

- მონაცემთა დამუშავების შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების მიზნით შენობაში თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებლი პირის საკონტაქტო ინფორმაციით.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს იმ თანამშრომელთა სათანადო წესით ინფორმირებას, რომელთა სამუშაო სივრცეც ექცევა ვიდეომონიტორინგის სისტემის ხედვის არეალში.
- უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ვიდეო მონიტორინგის სისტემის ფარგლებში განსაზღვრულია შემდეგი ტიპის წვდომები:

ა) ვიდეო კამერების მონიტორინგი რეალურ (online) რეჟიმში - აღნიშნული წვდომის მქონე მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ თვალყური ადევნოს მიმდინარე კადრებს. შეზღუდული აქვს ჩანაწერის გადახვევის და გადმოწერის (კომპიუტერზე ან ინფორმაციის სხვა მედია მატარებელზე) უფლება;

ბ) ვიდეო კამერების ჩანაწერების გადახვევის და თვალყურის დევნების უფლება - აღნიშნული წვდომის მქონე მომხმარებელს შეუძლია როგორც კამერების რეალურ რეჟიმში მონიტორინგი, ასევე, ჩანაწერების გადახვევა და თვალყურის დევნება, მაგრამ შეზღუდული აქვს ჩანაწერის გადმოწერის (კომპიუტერზე ან ინფორმაციის სხვა მედია მატარებელზე) უფლება;

გ) ვიდეო კამერების ჩანაწერების გადმოწერა - აღნიშნული წვდომის მქონე მომხმარებელს შეუძლია კამერების რეალურ რეჟიმში მონიტორინგი, ჩანაწერების გადახვევა და თვალყურის დევნება, ჩანაწერების გადმოწერა ლოკალურ ქსელში და შესაბამისი დასტურის შემთხვევაში უფლებამოსილი პირისთვის მიწოდება;

დ) ტექნიკური მხარდაჭერის უფლება - აღნიშნული წვდომის მქონე მომხმარებელს აქვს ვიდეო მონიტორინგის სისტემაში ახალი მომხმარებლების შექმნის, არსებული მომხმარებლების გაუქმების, ვიდეო მონიტორინგის სისტემაში არსებული ელექტრონულად შესრულებული მოქმედებების (ლოგების) მონიტორინგის, ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში ხარვეზის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა ქმედებების განხორციელების, ასევე კონფიგურაციების ცვლილებების განხორციელების უფლება.

შენიშვნა: მომხმარებელი არის ნებისმიერი პირი რომელსაც აქვს წვდომა ვიდეო მონიტორინგის სისტემაზე. ვიდეო მონიტორინგის სისტემაზე წვდომა წარმოებს მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით.